PMCG Research

jobs.ge

დასაქმების ტრექერი

დეკემბერი 2022

www.pmcresearch.org

ადამიანების საშუალო რაოდენობა, რომლებიც იღებენ ხელფასს



წყარო: შემოსავლების სამსახური*

* შემოსავლების სამსახურის მონაცემები არ არის საბოლოო და შეიძლება მცირედით გაიზარდოს. (ბოლოს ნანახია 20.12.2022).

** 0-600 ლარისა და 601-1200 ლარის მიმღებ პირთა წილის კლება 2021 წლის მეოთხე კვარტალში სავარაუდოდ გამოწვეული იყო დეკემბერში მე-13 ხელფასის მიმღებ პირთა მნიშვნელოვანი რაოდენობით.

- 2022 წლის ნოემბერში, ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ თვიურ ხელფასს, 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 1.4%-ით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 5.4%-ით არის გაზრდილი.
- 2022 წლის ნოემბერში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 0-დან 599 ლარამდე თვიურ ხელფასს, 21.3%-ს შეადგენდა, რაც 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 5.9 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 9.4 პროცენტული პუნქტით შემცირებული მაჩვენებელია.
- 2022 წლის ნოემბერში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 2,400 ლარს ან მეტ თვიურ ხელფასს, 18.5%-ს შეადგენდა, რაც 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 3.3 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 5.6 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია.
- 2022 წლის ნოემბერში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 9,600 ლარს მეტ თვიურ ხელფასს, 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 28.5%-ით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 63%-ით არის გაზრდილი. 2022 წლის ნოემბერში, იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც იღებდნენ 9,600 ლარს ან მეტ ხელფასს, 1.6%-ს შეადგენდა.

დასაქმების ბარომეტრი - BAG ინდექსის გამოკვლევა





წყარო: PMC კვლევითი ცენტრი, BAG

- 2022 წლის III კვარტალში, BAG დასაქმების ბარომეტრმა[1] 28.1 ქულა შეადგინა, რაც II კვარტალთან შედარებით, 0.4 ქულით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. 2022 წლის III კვარტალში ბარომეტრის მაჩვენებელი დადებითი იყო ყველა სექტორისთვის.
- 2022 წლის III კვარტალში დასაქმების ბარომეტრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მშენებლობის სექტორში ფიქსირდებოდა (50 ქულა), ყველაზე დაბალი კი მრეწველობის სექტორში - 20 ქულა.
- 2022 წლის IV კვარტალში, BAG დასაქმების ბარომეტრმა 29.1 ქულა შეადგინა, რაც III კვარტალთან შედარებით, 1 ქულით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. 2022 წლის IV კვარტალში ბარომეტრის მაჩვენებელი დადებითია ყველა სექტორისთვის.
- 2022 წლის IV კვარტალში დასაქმების ბარომეტრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მშენებლობის სექტორში ფიქსირდებოდა (64 ქულა), ყველაზე დაბალი კი მრეწველობისა და ვაჭრობის სექტორებში - 23-23 ქულა[1].

[1] კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების „მზარდი”-სა და „კლებადი”-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილება
BAG ინდექსის გამოკვლევა



- 2022 წლის III კვარტალში, გამოკითხული კომპანიების 39%-მა გაზარდა დასაქმებულთა რაოდენობა, 9%-მა შეამცირა, ხოლო 52%-მა არ შეცვალა.
- 2022 წლის IV კვარტალში, გამოკითხული კომპანიების 35%-მა გაზარდა დასაქმებულთა რაოდენობა, 7%-მა შეამცირა, ხოლო 58%-მა არ შეცვალა.
- გამოკითხული კომპანიების 32% გეგმავს გაზარდოს დასაქმებულთა რაოდენობა 2023 წლის I კვარტალში, 3% გეგმავს შემცირებას, ხოლო 65% არ აპირებს რაოდენობის ცვლილებას.
- 2023 წლის I კვარტალში დასაქმების მიმართულებით ყველაზე პოზიტიური მოლოდინი მშენებლობის სექტორში ფიქსირდება, სადაც 2023 წლის I კვარტალში, კომპანიათა 64% გეგმავს დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

წყარო: PMC კვლევითი ცენტრი, BAG

* მოლოდინი

Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა



წყარო: Jobs.ge

- 2022 წელს, ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით, 43,323 ვაკანსია გამოქვეყნდა jobs.ge-ზე, რაც 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 27.7%-ით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 154.3%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.
- 2022 წელს, ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით, jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების საშუალო თვიურმა ზრდის ტემპმა - 1% შეადგინა.

Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების რაოდენობა კატეგორიების მიხედვით













წყარო: Jobs.ge

2022 წელს, ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით, 12,702 ვაკანსია გამოქვეყნდა გაყიდვები/შესყიდვების კატეგორიაში, რაც 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 48%-ით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 162%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

2022 წელს, ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით, 9,280 ვაკანსია გამოქვეყნდა ადმინისტრაცია/მენეჯმენტის კატეგორიაში, რაც 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 23%-ით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 182%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

2022 წელს, ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით, 11,890 ვაკანსია გამოქვეყნდა ლოჯისტიკის/ტრანსპორტის/დისტრიბუციის კატეგორიაში, რაც 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 20%-ით, ხოლო 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 142%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

ბევერიჯის მრუდი[2]



წყარო: Jobs.ge, Hr.gov.ge, საქსტატი

2. **ბევერიჯის მრუდი პიემსი კვლევითმა ცენტრმა საქართველოს ეროვნული ბანკის დახმარებით ააგო.**
ბევერიჯის მრუდი ასახავს ვაკანსიების გამოცხადებისა (Y ღერძზე) და უმუშევრობის დონეებს (X ღერძზე) შორის კავშირს. მასზე დაკვირვებით შრომის ბაზრისა და ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღებაა შესაძლებელი. კერძოდ: ა. მრუდის გადაადგილება მარცხნივ (კოორდინატთა სათავისკენ) შრომის ბაზრის ეფექტიანობის ზრდას ასახავს; ბ. მრუდის გადაადგილება მარჯვნივ (კოორდინატთა სათავიდან გარეთ) შრომის ბაზრის ეფექტიანობის შემცირებას ასახავს; გ. მრუდის გასწვრივ მარცხნივ მოძრაობა აჩვენებს, რომ ეკონომიკა ექსპანსიაში გადადის, ხოლო მრუდის გასწვრივ მარჯვნივ მოძრაობა აჩვენებს, რომ ეკონომიკა რეცესიაში გადადის.

3. ვაკანსიების გამოცხადების დონე გამოითვლება, როგორც ვაკანსიების რაოდენობის შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობისა და ვაკანსიების რაოდენობის ჯამთან, გამრავლებული 100-ზე.

შრომის ბაზრის ანალიზი, ბევერიჯის მრუდის მიხედვით

- პრე-პანდემიურ პერიოდში (I კვ. 2018 - IV კვ. 2019), ბევერიჯის მრუდის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკა იმყოფებოდა ექსპანსიის ფაზაში. ამ პერიოდში უმუშევრობის დონე მცირდებოდა და ვაკანსიების გამოცხადების დონე იზრდებოდა.

- პანდემიურ პერიოდში, (I კვ. 2020 - IV კვ. 2020), ბევერიჯის მრუდის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკა გადავიდა რეცესიის ფაზაში. ამ პერიოდში უმუშევრობის დონე გაიზარდა, ხოლო ვაკანსიების გამოცხადების დონე შემცირდა.

- I კვ. 2021-ში, COVID-19-ის შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნის პარალელურად, ბევერიჯის მრუდი გადაადგილდა მარჯვნივ, კოორდინატთა სათავიდან გარეთ. ამ პერიოდში გაუმჯობესდა დამსაქმებლების მოლოდინები, რაც აისახა ვაკანსიების გამოცხადების დონის ზრდაზე, თუმცა უმუშევრობის დონე თითქმის უცვლელი დარჩა. ბევერიჯის მრუდის აღნიშნული გადაადგილება მიანიშნებს შრომის ბაზრის ეფექტიანობის შემცირებაზე. აღსანიშნავია, რომ I კვ. 2021-ის შემდეგ, II კვ. 2021 - II კვ. 2022-ის პერიოდში, ბევერუჯის მრუდი კიდევ ერთხელ გადაადგილდა კოორდინატთა სათავიდან ზემოთ, რაც მიანიშნებს, რომ ამ პერიოდში, I კვ. 2021-თან შედარებით, საქართველოში შრომის ბაზრის ეფექტიანობა კიდევ უფრო შემცირდა.

- ბევერიჯის მრუდის მიხედვით, III კვ. 2021 - II კვ. 2022 პერიოდში, ეკონომიკა გადავიდა ექსპანსიის ფაზაში. ამ პერიოდში ვაკანსიების გამოცხადების დონის ზრდასთან ერთად, შემცირდა უმუშევრობის დონე.

- წინასწარი შეფასებით, III კვ. 2022-ში ბევერიჯის მრუდი შესაძლოა კიდევ ერთხელ გადაადგილდა - ამჯერად კოორდინატთა სათავისკენ, ვინაიდან უმუშევრობის დონე მკვეთრად შემცირდა, ხოლო ვაკანსიების გამოცხადების დონე მცირედით გაიზარდა, რაც შრომის ბაზრის ეფექტიანობის ზრდაზე მიანიშნებს. აღნიშნულზე საბოლოო დასკვნის საშუალებას მომავალი პერიოდების დაკვირვებები მოგვცემს.

- შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ პოსტ-პანდემიურ პერიოდში (III კვ. 2022), პრე-პანდემიურთან (IV კვ. 2019) შედარებით, შრომის ბაზრის ეფექტიანობა შემცირდა. აღნიშნული პერიოდების შედარებისას ჩანს, რომ უმუშევრობის დონე თითქმის უცვლელია, ხოლო ვაკანსიების გამოცხადების დონე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ IV კვ. 2019-თან შედარებით, III კვ. 2022-ში დამსაქმებლებისთვის საჭირო კადრების მოძიება უფრო გართულებულია. აღნიშნულს შესაძლოა განაპირობებდეს სხვადასხვა ფაქტორები, როგორებიცაა: სამუშაო ძალის მიგრაცია, კადრების გადინება მომიჯნავე სექტორებში, სამუშაოს მაძიებლების სარეზერვო ხელფასის ზრდა (ხელფასის ის მინიმალური ოდენობა, რაზეც სამუშაოს მაძიებელი თანახმა იქნება სამსახურის დაწყებაზე) და ა.შ.

შრომის ბაზრის ინდიკატორები

	2020 I კვ.	2020 II კვ.	2020 III კვ.	2020 IV კვ.	2021 I კვ.	2021 II კვ.	2021 III კვ.	2021 IV კვ.	2022 I კვ.	2022 II კვ.	2022 III კვ.
სამუშაო ძალა (ათასი)	1545.2	1515.0	1528.9	1505.7	1447.2	1559.1	1592	1536.1	1490.7	1551.5	1609.4
დასაქმებულები (ათასი)	1262.7	1237.6	1269.1	1197.9	1129.7	1214.6	1281.2	1244.2	1201.1	1269.9	1358.6
დაქირავებით დასაქმებული (ათასი)	891.2	839.5	845.3	805.1	782.8	831.7	861.9	841.1	817.7	867.9	913.8
თვითდასაქმებული (ათასი)	370.8	397.6	423.1	391.9	345.7	381.8	418.6	402.4	382.3	401.2	444.3
უმუშევრები (ათასი)	282.6	277.4	259.8	307.8	317.5	344.6	310.8	291.9	289.6	281.6	250.7
სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (%)	51.3	50.3	50.3	50.0	48.3	51.4	52.8	51.2	49.9	51.5	53.5
დასაქმების დონე (%)	41.9	41.1	41.8	39.8	37.7	40.1	42.5	41.5	40.2	42.2	45,2
უმუშევრობის დონე (%)	18.3	18.3	17.0	20.4	21.9	22.1	19.5	19.0	19.4	18.1	15.6
საშუალო ნომინალური ხელფასი (ლარი)	1202.7	1150.1	1 239.5	1314.7	1256.2	1328.0	1368.5	1463.8	1446.5	1541.3	1595.0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არ აღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზეც.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე
მკვლევარი
s.basilidze@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

ნიკოლოზ ბაქრაძე
უმცროსი მკვლევარი
n.bakradze@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org